



თიბისი დაზღვევა

T B C I N S U R A N C E

საკრედიტო შენატანების დაზღვევის პირობები

PPI/002/17

საკრედიტო შენატანების დაზღვევის პირობები # PPI/002/17

ტერმინთა განმარტებები:

მზღვეველი - სს „თიბისი დაზღვევა“.

დამზღვევი - სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც წინამდებარე პირობებზე დაყრდნობით მზღვეველთან აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას და იხდის სადაზღვევო პრემიას.

დაზღვეული - სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი თიბისი ბანკთან საკრედიტო შენატანების განხორციელებაზე და რომლის გარდაცვალების, უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომიისუუნარობის, ან იძულებით უმუშევრობის დადგომის შემთხვევაშიც მზღვეველი იღებს პასუხისმგებლობას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად.

მოსარგებლე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში და რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეულის იძულებითი უმუშევრობა, უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობა ან გარდაცვალება.

იძულებითი უმუშევრობა - ჩაითვლება დამსაქმებლის მიერ დაზღვეულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ ამ პირობების 1.3 მუხლში მითითებული მიზეზებით.

უბედური შემთხვევა - აშკარა გარე ძალების ზემოქმედებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი და უეცარი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და რომელმაც გამოიწვია დაზღვეული პირის გარდაცვალება ან სხეულის მძიმე დაზიანება.

შრომისუუნარობა - უბედური შემთხვევით გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის ხდომილების დღიდან გამოიწვევს დაზღვეულის შრომისუუნარიანობის დაკარგვას. შრომისუუნარიანობის დაკარგვა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით.

ჯამური შემოსავალი - დაზღვეულის დასაბუთებული ჯამური სტაბილური შემოსავალი, რომელიც შედგება ხელფასის და/ან მოგების ან ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული თანხებისგან; ჯამური შემოსავალი ანგარიშდება ბოლო 3 თვის განმავლობაში მიღებული

ყოველთვიური სტაბილური შემოსავლის საშუალო არითმეტიკულით.

გარდაცვალება – უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში მომხდარი, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალება.

სადაზღვევო თანხა – პოლისით გათვალისწინებული მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.

ყოველთვიური ლიმიტის შერჩევა მოხდება დამზღვევის მიერ, სადაზღვევო პოლისის გაფორმებისას სესხის მიმდინარე გრაფიკის / საკრედიტო ბარათის ლიმიტის შესაბამისად.

მიმდინარე სადაზღვევო თანხა – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის, პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ნაწილი, რომელიც დარჩა წინა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების შემდეგ.

სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელსაც გადაუხდის მზღვეველი მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა) სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების შემდეგ წინამდებარე პირობების შესაბამისად.

სადაზღვევო პრემია – დაზღვევის საფასური, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს პოლისში მითითებული წესის შესაბამისად;

სადაზღვევო პერიოდი – სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი, რომლის დროსაც მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.

მოსდის პერიოდი – სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლიდან ათვლილი 3 თვიანი ვადა, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

ოჯახის წევრი - დაზღვეულის მეუღლე, შვილები, მშობლები, მშობლების მშობლები; და, ძმა.

1. დაფარული რისკები

1.1 წინამდებარე პირობების შესაბამისად, მზღვეველი იღებს ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მხოლოდ შემდეგი რისკების დადგომის შემთხვევაში:

- **უბედური შემთხვევით გამოწვეული დამზღვევის შრომისუნარობა;**
- **უბედური შემთხვევით გამოწვეული დამზღვევის გარდაცვალება;**
- **დამზღვევის იძულებითი უმუშევრობის დადგომა;**

1.2 სადაზღვევო შემთხვევად განიხილება უბედური შემთხვევით განპირობებული

შრომისუნარობა, რომელიც გამოიწვევს დაზღვეულზე უშუალოდ დაკისრებული მოვალეობის შესრულებლობას (მიუხედავად იმისა, წყდება თუ არა შრომითი ხელშეკრულება).

1.3 წინამდებარე პირობის შესაბამისად იძულებითი უმუშევრობის რისკის დადგომა ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლის მიერ დაზღვეულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა შემდეგი მიზეზებით:

- ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომელიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;
- დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;
- სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას;
- დამსაქმებელი ფიზიკური პირის გარდაცვალება;
- დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
- დამსაქმებელი იურიდიული პირის რეორგანიზაცია (საშტატო ერთეულის გაუქმება, შემცირება);
- სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

1.4 იმ შემთხვევაში თუ დაზღვეულს გააჩნია ერთზე მეტი სამუშაო ადგილი, ან გააჩნია სხვა დასაბუთებული სტაბილური შემოსავლის წყარო, მაშინ მის მიერ მხოლოდ ერთი სამსახურის დაკარგვა არ ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად, თუ მისი ჯამური შემოსავალი არ შემცირდება 30% ან მეტი წილით. ჯამური შემოსავალი ანგარიშდება სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 3 თვის განმავლობაში მიღებული დასაბუთებული ყოველთვიური შემოსავლის საშუალო არითმეტიკულით.

1.5 წინამდებარე პირობების საფუძველზე გაცემული ცალკეული პოლისი ფარავს კონკრეტულ სესხს ან საკრედიტო ბარათს (სესხის/ბარათის ნომერი მითითებულია პოლისში). თუ დამზღვევს სურს საკრედიტო შენატანების დაზღვევა ორ სხვადასხვა სესხზე ან ბარათზე, აუცილებელია ორი დამოუკიდებელი პოლისის გაფორმება.

2. დაზღვევა არ ვრცელდება:

2.1 პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ 6 (ექვსი) თვის უწყვეტი სამუშაო სტაჟი პოლისში მითითებული მოცდის 3 (სამი) თვიანი პერიოდის დასრულების მომენტისათვის. შრომის სტაჟის არსებობა დასტურდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით ან ბრძანებით;

2.2 პირებზე, რომლებიც მუდმივ მოვლას საჭიროებენ (იგულისხმება პირი, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის სხვების დახმარებას საჭიროებს). აღნიშნული პირები არ ჩაითვალებიან დაზღვეულებად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ

სასარგებლოდ გადახდილია სადაზღვევო პრემია.

2.3 ფსიქურად დაავადებულ პირებზე, აღნიშნული პირები არ ჩაითვალებიან დაზღვეულებად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ სასარგებლოდ გადახდილია სადაზღვევო პრემია.

2.4 იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება რომ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის დაზღვეული პირი იმყოფებოდა წინამდებარე მუხლის 2.2 და 2.3 პუნქტებში აღწერილ მდგომარეობაში, მზღვეველი უფლებამოსილია აღმოჩენისთანავე შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება გაფორმების მომენტიდან.

3. სადაზღვევო პერიოდი და დაზღვევის ტერიტორია

3.1 წინამდებარე დაზღვევის პირობები, მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის პოლისთან ერთად წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო ხელშეკრულებას. სადაზღვევო ხელშეკრულება ძალაში შედის პოლისში მითითებული თარიღის 24:00 საათზე და ძალაშია 1 (ერთი) წლის განმავლობაში. სადაზღვევო პოლისი ექვემდებარება ყოველწლიურ ავტომატურ განახლებას სესხის ხელშეკრულების ბოლომდე (გარდა იმ შემთხვევისა როცა მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებულია ზარალი) თუ პოლისის შეწყვეტის თაობაზე მხარეთა მიერ არ იქნება წერილობითი შეტყობინებინება გაგზავნილი მეორე მხარის მიმართ შეწყვეტამდე 5 (ხუთი)კალენდარული დღით ადრე ამ უკანასკნელის ფაქტობრივ მისამართზე.

3.2 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა).

3.3 საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დამდგარი რისკები: **უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვა, ან უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება** ჩაითვლება სადაზღვევო შემთხვევად და დაექვემდებარება ანაზღაურებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველისთვის წარმოდგენილი იქნება სადაზღვევო შემთხვევის დასარეგულირებლად აუცილებელი ყველა საჭირო საბუთი (თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული აპოსტილით)

3.4 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაფარვა არ ვრცელდება იმ პირის **იძულებითი უმუშევრობის დადგომაზე**, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომელთა ფაქტობრივი სამუშაო ადგილი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში, მაგრამ დამსაქმებელს წარმოადგენს იურიდიული პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოში, ან რომლის იურიდიული მისამართი არ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე.

3.5 სადაზღვევო პოლისი ექვემდებარება ავტომატურ გაუქმებას, სადაზღვევო პოლისით დაზღვეული სესხის დაფარვისთანავე/საკრედიტო ბარათის გაუქმებისთანავე. გაუქმების საფუძველს წარმოადგენს თიბისი ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

4. სადაზღვევო თანხა/ ანაზღაურების ლიმიტი

4.1. სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს, რომელსაც გასცემს მზღვეველი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისას. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას, მზღვეველის პასუხისმგებლობა მცირდება გადახდილი თანხების ოდენობით და შემდგომი სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, ასანაზღაურებელი თანხა მიმდინარე სადაზღვევო თანხიდან გამოითვლება. სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა პოლისში მითითებული სესხის პერიოდის განმავლობაში და შეწყდება აღნიშნული სესხის დაფარვისთანავე.

4.2. პოლისში მისათითებელი სადაზღვევო თანხის ოდენობას დამზღვევი ირჩევს თავად ხელშეკრულების გაფორმებამდე.

4.3. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მაქსიმალური სადაზღვევო თანხა/ ანაზღაურების ლიმიტი შეადგენს დაზღვეულის მიერ შერჩეული ყოველთვიური სადაზღვევო ლიმიტის ექვსმაგ ოდენობას.

5. სადაზღვევო ანაზღაურება

5.1 სადაზღვევო შემთხვევისას მზღვეველი ანაზღაურებს დამზღვევის მიერ წინასწარ შერჩეული ყოველთვიური ლიმიტის (რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში) შესაბამის თანხას მაქსიმუმ **6 (ექვსი) თვის** განმავლობაში; თუმცა არაუმეტეს თვეში:

5.1.1 **სესხის შემთხვევაში** – დაზღვევის მომენტისთვის დადგენილი ყოველთვიური საკრედიტო შენატანის ოდენობა დამრგვალებული მის შემდგომ ასულის მაჩვენებლამდე (პოლისში მითითებული ვალუტის შესაბამისად).

5.1.2 **საკრედიტო ბარათის შემთხვევაში** – დაზღვეულისთვის დამტკიცებული მაქსიმალური საკრედიტო ლიმიტის არაუმეტეს 10%-ს (პოლისში მითითებული ვალუტის შესაბამისად).

5.2 შრომისუნარობის რისკის დადგომის შემთხვევაში მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების გაცემა განხორციელდება მხოლოდ შრომისუნარობის პერიოდში, მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში და შეწყდება შრომისუნარიანობის აღდგენისთანავე.

5.3 იძულებითი უმუშევრობის მიზეზით დაზღვეულის ჯამური შემოსავლის შემცირება 30% ან მეტი წილით წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება პოლისში მითითებული ყოველთვიური ლიმიტის შესაბამისად არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში და მხოლოდ სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

5.4 იძულებითი უმუშევრობის რისკის დადგომის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ რეალური უმუშევრობის პერიოდში, მაქსიმუმ 6 (ექვსი) თვის

განმავლობაში და შეწყდება დაზღვეულის ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებისთანავე. დაზღვეული ვალდებულია დასაქმების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულის შესახებ. მზღვეველი უფლებამოსილია გადაამოწმოს დაზღვეულის დასაქმების სტატუსი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების საშუალებით, რაც წამოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობას ყოველ ჯერზე. მზღვეველი უფლებამოსილია, ინფორმაციის საკუთარი ძალებით მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ცნობის წარმოდგენა მოსთხოვოს დაზღვეულს.

5.5 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი იტოვებს უფლებას სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს სრული სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ოდენობა.

5.6 იმ შემთხვევაში, თუ პოლისში მითითებული მოსარგებლე მოითხოვს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა ჩაირიცხოს იმ ანგარიშზე რომელზეც თანხის ჩაირიცხვის მომენტისათვის გავრცელებული იქნება ინკასო/ყადაღა, მზღვეველი პასუხისმგებლობას იხსნის მოსარგებლის წინაშე თანხის მიუღებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე და სადაზღვევო ანაზღაურება ჩაითვლება გაცემულად.

6. გამონაკლისები

6.1 წინამდებარე დაზღვევით არ იფარება **შრომისუნარობის ან გარდაცვალების** რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია, ან დაკავშირებულია შემდეგ შემთხვევებთან:

6.1.1 ჩატარებული ან მიმდინარე მკურნალობა ან ჩარევები, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი ჩარევა ან მკურნალობა (რადიოდიანოგოსტიკისა და რადიოთერაპიის ჩათვლით) აუცილებელი გახდა წინამდებარე პირობებით დაფარული უბედური შემთხვევის ხდომილების შედეგად.

6.1.2 ინფექციები, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ უბედური შემთხვევით განპირობებული დაზიანების შედეგად დაზღვეულის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა;

6.1.3 კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები (მცირე ტრავმები კანის საფარველის მთლიანობის დარღვევის გარეშე, რომელსაც თან არ ახლავს შინაგანი ორგანოებისა და ძვალ-სახსროვანი სისტემის დაზიანებები), რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;

6.1.4 მოწამვლა, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;

6.1.5 აბდომინალური ან საზარდულის თიაქარი, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი დაზიანება შედეგად მოყვა ძლიერ გარე ზეგავლენას, რომელიც ექვევა წინამდებარე პირობების დაფარვის ქვეშ.

- 6.1.6 მალთაშორისი დისკების დაზიანება, სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევა, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება თუ წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევა წარმოადგენს აღნიშნული დაავადებების პირველად მიზეზს;
- 6.1.7 ორსულობა ან მშობიარობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობის დაჩქარება გამოწვეულია უბედური შემთხვევით;
- 6.1.8 გონებრივი, ფსიქიური ან ფსიქოსომატური დარღვევები (დროებითი ან სხვა);
- 6.1.9 დაზღვეული პირი იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემომედების ქვეშ;
- 6.1.10 განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებული გაუფრთხილებლობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზეზით);
- 6.1.11 თვითმკვლელობა, ასეთის მცდელობა, შეგნებული თვითდაზიანება;
- 6.1.12 დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ან ასეთის მცდელობა;
- 6.1.13 დაზღვეულის საჭაერო მგზავრობისას დამდგარი შემთხვევები, როდესაც ის არ წარმოადგენს მგზავრს ან/და მგზავრობა არ ხორციელდება ავიახაზების რეგულარული / ჩარტერული რეისის თვითმფრინავებით;
- 6.1.14 ბირთვული ენერჯია, რადიაცია, დაბინძურება, ნებისმიერ დაზიანება ან დაავადება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიულ დაბინძურებას;
- 6.1.15 ომი (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), შემოჭრა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, ნაციონალიზაცია ან კონფისკაცია ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ; ნებისმიერი დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში მყოფი პირების ქმედებები, მიმართული დე-ფაქტო თუ დე-იურე მთავრობის გადადგომისკენ ან მასზე ზეგავლენის მოსახდენად; ტერორიზმი;
- 6.1.16 სანაძლეოს შესრულება, აკრობატული ილეთები, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარება ან ასეთის მცდელობა და ასეთისთვის მზადება; დაზღვეულის მონაწილეობა პროფესიონალურ სპორტში, დოლებში ან რბოლებში; აკვალანგით ყვინთვა; კლდეზე ცოცვა; ალპინიზმი, სპელეოლოგია; დელტაპლანერიზმი, პარაშუტით ხტომა, ნადირობა.
- 6.1.17 დაინტერესებული მესამე პირის მიერ დაზღვეულის განზრახ მკვლელობა ან ასეთის მცდელობა;
- 6.1.18 დაზღვეულის მონაწილეობა პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჭაერო ძალების სამხედრო ოპერაციებში;
- 6.1.19 უბედურ შემთხვევამდე არსებული ფიზიკური ნაკლი, ანომალიები ან

დაავადებები;

6.1.20 სადაზღვევო პერიოდამდე მომხდარი უბედური შემთხვევისგან გამომწვეული დაზიანებები, რომლებიც ცნობილი და აშკარა გახდა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

6.2 წინამდებარე დაზღვევით არ იფარება **იძულებით უმუშევრობის** რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომწვეულია, ან დაკავშირებულია შემდეგ შემთხვევებთან:

6.2.1 შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვით;

6.2.2 შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებით;

6.2.3 დასაქმებულმა თანამდებობა/დაკავებული პოზიცია საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვა;

6.2.4 შრომითი ხელშეკრულება მოიშალა მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

6.2.5 დაზღვეულის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობით;

6.2.6 საბუთების გაყალბება დაინტერესებული პირის მიერ ან ასეთის მცდელობა;

6.2.7 დაზღვეული მუშაობას იწყებს საქართველოს ფარგლებს გარეთ;

6.2.8 დაზღვეულისათვის ცნობილი იყო ინფორმაცია მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ წინამდებარე დაზღვევის ძალაში შესვლამდე;

6.2.9 ნებისმიერი ავადმყოფობით განპირობებული უმუშევრობა (გარდა უბედური შემთხვევით გამომწვეულისა);

6.2.10 შრომითი ურთიერთობის შეჩერება (მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: ლოკაუტი, გაფიცვა), როდესაც არ ხდება შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა;

6.2.11 დაზღვეული გათავისუფლდა საპენსიო ასაკის მიღწევის მიზეზით და ეკუთვნის კომპენსაცია პენსიის ან რაიმე სხვა დახმარების სახით;

6.2.12 უმუშევრობა დადგა სადაზღვევო პერიოდის საწყისი თარიღიდან პოლისში მითითებული მოცდის პერიოდის ამოწურვამდე; დაზღვეულებისათვის, რომელთა პოლისიც განახლდება უწყვეტად, განახლებული პოლისისთვის არ იმოქმედებს მოცდის პერიოდი.

6.2.13 დაზღვეული დასაქმებულია ისეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელ პოზიციაზე, რომლის დამფუძნებელს, დირექტორს, ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს წარმოადგენს თავად ან მისი ოჯახის წევრი;

6.2.14 დამზღვევი დასაქმებულია სახელმწიფო სტრუქტურას/უწყებასა ან/და ორგანოში და შეუჩერდა კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობის უფლებამოსილება, მაგრამ მისი დასაქმების საკითხს ამუშავებს შესაბამისი უწყების /ორგანოს კადრების განყოფილება.

6.2.15 დამზღვევის დასაქმების უწყვეტი სტაჟი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შეადგენს 6 თვეზე ნაკლებს.

6.3 მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან

შემდეგ შემთხვევებში:

6.3.1 დამზღვევის მიერ სრულად და დროულად არ არის გადახდილი პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანი;

6.3.2 მზღვეველის მიერ მოთხოვნილი, სადაზღვევო შემთხვევის შესაფასებლად აუცილებელი საბუთები არასრულყოფილად არის წარმოდგენილი

6.3.3 დამზღვევის მიერ დარღვეულია წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული რომელიმე ვალდებულება (მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება: სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე მზღვეველისათვის ინფორმაციის სრულად მიწოდების ვალდებულება, სადაზღვევო შემთხვევის დასარეგულირებლად აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის სრულად მიწოდების ვალდებულება).

6.3.4 დამზღვევი ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი გააყალბებს ან ეცდება რომ დამალოს, ან გააყალბოს დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, საქმიანობასთან ან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ან საბუთი როგორც სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე ასევე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ.

7. სადაზღვევო შემთხვევა

7.1. უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარობის ან დაზღვეულის გარდაცვალების რისკის ხდომილების შემთხვევებში დაზღვეული, ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა, აცნობოს მზღვეველს ცხელ ხაზზე – 2 42 22 22 და არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა წარუდგინოს სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელ შემდეგი საბუთები:

- ცნობა უბედური შემთხვევის ხდომილების შესახებ;
- ცნობა გარდაცვალების შესახებ, სამედიცინო დასკვნასთან ერთად (გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის მითითებით);
- შრომისუნარობის დადგომის დამადასტურებელი საბუთი გაცემული სამედიცინო დაწესებულების მიერ და დამოწმებული შესაბამისი ფორმით;
- სამედიცინო ექსპერტის დასკვნა დაზღვეულის შრომისუნაროდ ცნობის შესახებ (ფორმა 50)
- დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი
- სადაზღვევო პოლისის ასლი;

7.1.1. მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად აუცილებელი სხვა საჭირო საბუთებისა და ინფორმაციის წარმოდგენა როგორც უშუალოდ დაზღვეულისგან, ასევე მისი დამსაქმებლისგან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთაღნიშნული საბუთი/ინფორმაცია არ იქნა წარდგენილი, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

7.1.2. მზღვეველის სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს წინამდებარე პირობების

შესაბამისად საბუთების სრულად მიღებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში, ამ პირობების მე-8 მუხლში მითითებული მოცდის პერიოდის გათვალისწინებით.

7.1.3. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე ვერ მოხერხდა გარდაცვალების მიზეზის ზუსტად განსაზღვრა, ან შრომისუნარობის ხარისხის დაზუსტება, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება (გარდაცვალების შემთხვევაში პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევა). ასეთი გამოკვლევისა, თუ ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების გაღება დაზღვეულის/მოსარგებლის/კანონიერი მემკვიდრის ვალდებულებაა.

7.2. **იძულებითი უმუშევრობის** რისკის ხდომილების შემთხვევაში დაზღვეული ვალდებულია აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ 48 საათის განმავლობაში და არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა წარუდგინოს სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელ შემდეგი საბუთები:

- სადაზღვევო პოლისის ასლი;
- პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და კომპანიის ბეჭდით დამოწმებული ცნობა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იქნება გათავისუფლების მიზეზი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- შრომითი ხელშეკრულების ასლი;
- ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ დასაქმებულისთვის ხელფასის ჩარიცხვის თაობაზე (ან ანალოგიური ინფორმაციის შემცველი სხვა საბუთი, მაგალითად ცნობა შემოსავლების სამსახურიდან პირის სახელზე მისი დამსაქმებლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ (იმ შემთხვევაში თუ ხელფასი არ გაიცემა საბანკო გადარიცხვის გზით).
- მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან პირის სახელზე მისი დამსაქმებლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

7.2.1. მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად აუცილებელი სხვა საჭირო საბუთების წარმოდგენა როგორც უშუალოდ დაზღვეულისგან, ასევე მისი დამსაქმებლისგან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთაღნიშნული საბუთი არ იქნა წარდგენილი, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

7.2.2. მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებას გასცემს წინამდებარე პირობების შესაბამისად, საბუთების სრულად მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამ პირობების მე-8 მუხლში მითითებული მოცდის პერიოდის გათვალისწინებით.

8. განსაკუთრებული პირობები

8.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში მოქმედებს დამატებითი მოცდის პერიოდი, რაც გულისხმობს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის

შემდეგ, პირველი თვის განმავლობაში დამზღვევის მიერ გადასახდელ საკრედიტო შენატანს სადაზღვევო კომპანია არ ანაზღაურებს, შესაბამისად, პირველი თვის შენატანის განხორციელება დაზღვეულის ვალდებულებაა.

8.2 სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარება 1 (ერთი) თვიანი მოცდის პერიოდის შემდეგ განსახორციელებელი საკრედიტო შენატანები პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში და წინამდებარე პირობების შესაბამისად.

9. სადაზღვეო ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის შესახებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე. დამზღვევის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, უკან დასაბრუნებელი პრემიის არსებობის შემთხვევაში, თუ მას ზარალი არ ქონია, დაუბრუნდება ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის არსებული ჯამური გამოუმუშავებელი პრემია, 10%-ის გამოკლებით (გარდა იმ შემთხვევისა როცა ხდება სესხის სრულად დაფარვა). იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ანაზღაურდა ზარალი, დაზღვევის გაუქმებისას პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო თუ პრემია სრულად არ არის გადახდილი, დამზღვევი ვალდებულია, გადასახდელი სადაზღვევო პრემია დაფაროს სრულად.

9.2 მზღვეველის ინიციატივით სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია შეატყობინოს დამზღვევს ხელშეკრულების მოშლის შესახებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეყცობინების გაგზავნის გზით;

9.3 თუ დამზღვევი პირველ (მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში) ან ერთჯერად სადაზღვევო პრემიას (ერთჯერადი გადახდის შემთხვევაში) სრულად არ გადაიხდის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის შემდგომი კალენდარული თვის 1 რიცხვამდე, პოლისი ავტომატურად გაუქმდება მისი გაცემის თარიღიდან. მხარეები შესაბამის სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით თანხმდებიან, რომ მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში, პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (აქ იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა), დამზღვევს დამატებით აქვს ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად. ამასთან, თუ პრემია არ იქნება გადახდილი, პოლისში მითითებული გადახდის თარიღის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე), მზღვეველის მიერ ცალმხრივად შეწყდება სადაზღვევო ხელშეკრულება/პოლისი და წინამდებარე ქვეპუნქტში ზემოთ ნახსენები დამატებითი ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

9.4 სადაზღვევო პოლისის მოქმედების განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების გამო სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას მზღვეველი უფლებამოსილია

ანზღაურებიდან გამოქვითოს სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.

10. პოლისის განახლება

10.1 წინამდებარე დაზღვევა ექვემდებარება ავტომატურ განახლებას ყოველწლიურად, პოლისში მითითებული სესხის ვადის ბოლომდე.

10.2 პოლისის ყოველწლიური განახლებისას მზღვეველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეცვალოს/დააკორექტიროს დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა, თუმცა მხოლოდ წინა პოლისში მითითებული ჯამური სადაზღვევო პრემიის 30%-ის ფარგლებში;

10.3 წინამდებარე მუხლის 10.2 პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში დამზღვევს ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, პოლისის განახლებამდე 1 თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ მოინდომებს პოლისის განახლებას გაზრდილი სადაზღვევო პრემიის პირობებში, მაშინ მან უნდა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობით, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

11. მარკეტულირებალი სამართალი

სადაზღვევო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერს დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. კონფიდენციალობა

12.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.2. მზღვეველი უფლებამოსილია, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დაამუშოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით და გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, მათ შორის ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

მზღვეველი ასევე უფლებამოსილია, მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშას, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც

ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.